წელიწადი პირველი.

ფასი თბ—ში 5 კაპ.
პროვინციაში—6 კაპ.

# ქარიშხალი

№ 2. კვირა, 29 ივლისი 1907 წ. № 2.

**შინაარსი:** 1) ჭკუიანთა რეაქცია და ბრიყვთა რევოლიუცია.—2 ფელეტონი: ძირითადი საფუძვლები სინდიკალიზმისა.—3 სინდიკალური მოძრაობა რუსეთში და საქართველოში.—4 ეროვნული და პროლეტარული ავტონომია საზოგადოთ და ქართველ ერის და ქართველ პროლეტარიატის ავტონომიის კითხვა.—5 სოც-ფედერალისტური აქლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჰიანჭველა, მწერალი უდაბნოში და უქმროთ დაბერებულ ქალწულთა გალობა ვაი-ვაი-ვაის ხმაზე.

## ჭკუიანთა რეაქცია და ბრიყვთა რევოლიუცია

—

რუსეთის სახელმწიფოს მდგომარეობა ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ძლიერ კრიტიკული იყო. მასში მწიფდებოდა ავადმყოფობა, რომელსაც ის თან უნდა გადაეტანა. ამ დროს გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებსაც თავის ძლიერ საჭირო იყო მათი უზარმაზარი მადის დაკმაყოფილება. უზარმაზარი მადა კი მოითხოვდა უზარმაზარ წყაროს, რომლისაგანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი უხიაგი მადის დაკმაყოფილება.

ამ გვარ უზარმაზარ წყაროდ მათთვის გადაიქცა ომი იაპონიასთან, საერთო სახალხო უბედურება, სნეულება, რომლის მოსარჩენად საჭირო დარჩა ხალხის სისხლი და სიმდიდრე იმ ექიმების გონორარად, რომლებმაც ხელოვნურად შექმნეს საერთო უბედურება და სნეულება, ამ გარემოებამ გარედგან გამოიწვია რუსეთის სახელმწიფოს შინაგანი იარების მსწრაფლი სიმწიფე და უდროვო-დროს მისი დამპალი ცხოვრების ჩირქის დენა. ამ გარემოებამ კი, როგორც ქირურგიულმა საშუალებამ, ისე იმოქმედა სახელმწიფოს ავადმყოფ სხეულზე და სიკვდილის პირად მისული მორჩა გარდაცვალების მაგიერ.

მორჩენას ხელი შეუწყეს სწორედ იმათ ვისაც მისი სიკვდილი უნდოდა. პოლიტიკურმა პარტიებმა ავად თუ კარგად გამოიწვიეს, ე. ი. დაამახინჯეს შიგნიდგან მოძრაობა, რომელსაც სრულიად უნდა შეეცვალა ცხოვრება. ისინი პროლეტარიატს ქალაქებში და წვრილ გლეხობას სოფლებში უქადაგებდნენ წმინდა სოციალიზმს და გულში კი ინახავდნენ თავიანთ პოლიტიკურ მისწრაფებას; როდესაც მოძრაობამ თავისი გაიტანა, როდესაც ცხოვრება რაღაც მანქანებით მწრაფლ შეიცვალა, ადამიანები ისე გამოიცვალნენ, რომ მათი ცნობა ძნელი-ღა იყო, მაშინ დაუწყეს ხალხს პოლიტიკური წირვა და დაუმორჩილეს ისინი თავიანთ დოგმატებს; ხალხიც შეეჩვია დოგმატებს და გაიჩინა ახალი ღმერთები—პოლიტიკური. მთავრობა მოუმზადებელი დაიბნა ნამდვილი ხალხური მოძრაობით, რომელიც გამოიწვია სოციალიზმის ქადაგებამ და სოციალიზმის განხორციელებამ, მაგრამ რაკი ნახა ბოლოს, რომ თვით ბელადები მოძრაობისა აგებენ ახალ პოლიტიკურ კერას, მაშინ უცებ თვალები გაეხილა და უცებ თვით შეიქმნა რევოლიუციონერი, რადგან დაინახა, რომ რევოლიუცია ამ გვარად დამახინჯებული წარმოადგენდა მის ნათესავ მოძრაობას. მან ხელი შეუწყო ახალი კერპის შექმნას, აგებას და ხალხს აუგო „დუმა“ სათაყვანებლად. მოძრაობის ბელადნი დაკმაყოფილდნენ ამით. რადგან მათი რწმენა განხორციელდა დუმის სახით; ხალხიც დაიმედებული ბელადების ერთგულობით მიჰყვა ამათ და გადაიქცა მრევლად იმ პოლიტიკური ეკლესიისა, რომელსაც დაერქვა „დუმა“ და რომელშიდაც მღვდლებათ, ღვთის წინაშე შუამდგომლებათ თავისი ბელადები შეგზავნა.

Тбилисск... Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკუიან თუ ბელადთა მიერვე გაჭკუიანებულ მთავრობასაც ეს უნდოდა: ღმერთი თავისუფალია და შეისმენს იმ თხოვნას, რომელსაც დაინახავს საჭიროთ.

ამ გვარია პოლიტიკური ღვთის მსახურება.

## სინდიკალური მოძრაობა რუსეთში და საქართველოში.

რუსეთის რევოლიუცია მეტად გამწვავედა. როგორც პროლეტარიატი, ისე მთლად მშრომელი ხალხი თავიანთ ბურჟუზიულ ცხოვრების ნაშობ ინტელიგენტების მეთაურობით დაადგა სწორედ რომ სახიფათო გზას, აირჩია არაფრად სახმარი საშუალება ბრძოლისა. როგორც კი სახელმწიფოებრივ-ბიუროკრატიულმა ყინულმა, ცოტად დაიწყო დნობა, მაშინვე პრესის საშუალებით, თუ ზეპირ-გარდაცემით, თუ ორგანიზაციების მოწყობით ამ არა-მკითხე მეთაურებმა მოწამლეს ეს მოძრაობა იმ ერთგვარ საწამლავით, რომელსაც „პოლიტიკა“ ჰქვია და რომელიც კი არ აერთებს სარევოლიუციო ძალებს, არამედ აცალკევებს და საერთოდ აფერხებს დიად სოციალურ მოძრაობას. ამ მეთაურებს ეგონათ, რომ აგრე ადვილი იყო პოლიტიკური ძალის ხელში ჩაგდება უიმისოდ, რომ ამ პოლიტიკურ წეს-წყობილებას არ გამონგრეოდა ის საფუძველი, რომელზედაც იგი დამყარებულია. მათ დაავიწყდათ, რომ კაპიტალი და სახელმწიფო განუყრელნი არიან და რომ თუ ხალხს სურს მეორის აღმოფხვრა, საჭიროა უპირველეს ყოვლისა პირველს ელემენტს მიაპყრას თავის ყურადღება. განცალკევება ამ ორი ძლიერი ფაქტორისა არ შეიძლება. ეს ორნი არიან საფუძველი ბურჟუაზიული მძარცველ-ექსპლოატატორულ წეს-წყობილებისა და ამ ორივესვე უნდა გაუმკლავდეს მთელი თავისი ენერგიით, ძალ-ღონით, სრული თავისი მთლიანობით განუყრელი, გაუცალკევებელი მშრომელი ხალხი, რომ სძლიოს ვეშაპს-კაპიტალს და მისს თანამოსამსახურეს-სახელმწიფოს. ეს მარტივი აზრი, ეს ნამდვილი, ჭეშმარიტი გზა პროლეტარიატის და საზოგადოდ მშრომელი ხალხის გამარჯვება-მოსილ მოძრაობისა სრულიად დაახინჯდა ინტელიგენტების თაოსნობით გამოწვეულ რაღაც „დუმების“ ტრფიალის გამო. მაგრამ მშრომელ ხალხის საქმე სხვანაირად დატრიალდა.

თვალ-გონება დახშული ფეოდალ-ბურჟუას მოსამსახურე მთავრობა, მათგან ზურგგამაგრებული არ დანებდა „საერო სურვილს“ და არ მიანიჭა ხალხს „ყოვლად მძლე და ყოვლად მხსნელი“ პირდაპირი თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება. ეს კი არა, მან ლამის სრულიად მოუსპოს იმ „ვითომდა თავისუფლების“ ნატამალი, იმ ქაღალდში გამოსახული რომელსაც „ისტორიკოსებმა“ 17 ოქტომბრის მანიფესტი უწოდეს. რაები არ იყო მოხსენებული ამ „სახელოვან“ საბუთში, რა დაპირება არ იყო აღთქმული. მხოლოდ ბეცს, შორს განუმჭვრეტელს შეეძლო ეფიქრა, რომ, რადგანაც ქაღალდში გამოცხადდა-ამიერიდან დამყარდეს თავისუფლებაო მაშინვე ეს უკანასკნელი თავისს ცხოველ-მყოფელ შუქით გაანათლებდა ქვეყანას. მაგრამ, ყველას უნდა სცოდნოდა, რომ ქაღალდის ნაფლეთი, ვისგანაც უნდა იყოს გამოცხადებული, არავის არაოდეს არ მიანიჭებს ნანატრს თავისუფლებას, უკეთუ თვით ხალხმა არ შეჰქმნა ის საჭირო, აუცილებელი ძალები, რომელნიც უზრუნველ-ჰყოფენ ამ თავისუფლებას. ეს ძალები უნდა იყვნენ ყოველთვის და ყოველ-ჟამს ჭეშმარიტი დარაჯნი, მცველი ჭეშმარიტი თავისუფლებისა. აი ამ ძალების ძებნისათვის უნდა მიემართნათ თავიანთი ყურადღება მათ, ვისაც რაიმე ესმოდათ ხალხების მოძრაობის მსვლელობისა.

მაგრამ ბედმა გაუღიმა რუსეთის დიად განმათავისუფლებელ მოძრაობას. აქაც დაიბადა სხვა მიმართულება, სხვა გზის მოძებნის სურვილი და ყველა ნამდვილი მეგობარი მშრომელი ხალხისა მოვალეა რამდენად ღონე შესწევს ხელი შეუწყოს ამ გზის გამორკვევას, შესაფერ საშუალებათა გამოგონებას, სათანადო ძალების შეკრეფას და მოღონიერებას. მართლაც, შორს-მჭვრეტელმა მეთაურებმა, თეორეტიკოსებმა მალე დაინახეს, რომ „პოლიტიკა“

ძალიან აცალკევებს მშრომელ ხალხის ძალებს. მის მაგიერ რომ შეაკავშიროს იგი შუღლს და მტრობას სთესავს მათ შორის. მიაქციეს ყურადღება იმ ქვეყანას, რომელიც კარგა ხანია ცნობილია, როგორც ქვეყანა, რევოლიუციონურ ტრადიციებით შეპყრობილი დაინახეს, რომ ამ ქვეყანაში დიადი ორგანიზაციები შექმნა იმ მიმართულებამ, რომელსაც ჰქვია ეგრედ წოდებული საფრანგეთის სარევოლიუციო სინდიკალიზმი და რომელმაც ბევრი საინტერესო მოვლენა გვაჩვენა ამ გაზაფხულზე. ამ მოვლენების შესახებ ჩვენ გვექნება სხვა დროს და სხვა ალაგას ვრცელი ბაასი; ახლა კი გვსურს ვილაპარაკოთ მხოლოდ იმაზე, თუ რა ნაირი გავლენა იქონია ამ სინდიკალიზმმა ჩვენს, ე. ი. როგორც რუსეთის, ისე საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

მშრომელ ხალხის გულ-შემატკივრებმა მალე დაინახეს, რომ „პოლიტიკური თავისუფლება“ სრულიად ფიქტიურია, როცა მას „ეკონომიური თავისუფლება“ არა აქვს თან დაყოლილი. მათ მოაგონდათ მესამოცე წლები, როდესაც საერთო ლაპარაკი იყო გლეხების განთავისუფლებაზე. ამ „რეფორმამ“ ყველას მალე დაანახვა რომ გლეხი, პოლიტიკურად, პირადად განთავისუფლებული სულ მოკლე ხანში გადაიქცა ისევ ყმად, ისევ მონად, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ მას ერთი „ბატონის“ მაგიერ მეორე „ბატონიც“ გაუჩნდა. ერთი იყო მიწის მფლობელი, მეორე კაპიტალის წარმომადგენელი. მაშასადამე, პროლეტარიატის ინტერესების დამცველთ უნდა ეზრუნათ, დიადი მოძრაობა ისე არ ჩამქრალიყო, რომ გემრიელი ნაყოფი არ გამოელო მათი მრწმუნებლისათვის. მათ კარგად შეიგნეს, რომ ყოველ რევოლიუციონურ მოძრაობას თან სოციალური ელფერი სდევს, რომ განცალკევება—აი ახლა ბურჟუაზიული, პოლიტიკური რევოლიუციაა, მერე კი შეიძლება სოციალური იყვესო და სხვა,—აბსურდია; ისინი მიხვდენ, რომ ამგვარი აზროვნება და ხალხში მისი გავრცელება მხოლოდ აფერხებდა მოძრაობის წინმსვლელობას. ყოველ მოძრაობისათვის, მათის აზრით, საჭიროა ხელის შეწყობა, რომ, რაც ძალებია პოტენციალურად დამალული ხალხის საშოში, ყველა ეს ძალები გარედ გამოვიდნენ, მოქმედება იწყონ და ნამდვილი ნაყოფი გამოიღონ. აი ამისთვის მთლად რუსეთის და კერძოდ საქართველოს პროლეტარიატ-მშრომელ ხალხის ინტერესების გულ-

# ფელეტონი

—:—

## მ ი რ ი თ ა დ ი ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი.

(გაგრძელება,*)

წესი და საშვალება განმათავისუფლებელი მოძრაობისა. წესი და საშუალება პოლიტიკური მოძრაობისა. თავისუფალი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—სინდიკალიზმი და იძულებითი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—პარლამენტარიზმი.

როდესაც ჩვენ კარგათ ჩაუკვირდებით ბიოლოგიურ მოვლენების, განვითარების პროცეს, რომლებიც განხორციელებული არიან ბუნებრივი თავისუფალი და პირდაპირი შერჩევის საშვალებით, მაშინ ცხადათ დავანახავთ კონტრასტს, რომელიც არსებობს ამ გვარ საშვალების და ხელოვნურ შერჩევის—არა პირდაპირ, იძულებითი საშვალების შორის.

პროცესი, წესი ბიოლოგიური არსებობისა, პროცესი, წესი არსებობისთვის ბრძოლისა და ერთი სიტყვით ბრძოლა არსებობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ანუ მოძრაობა, მოქმედება ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სწარმოებს, განხორციელებული არის ორი გზით, ორი საშვალებით. ეს ორი საშვალება ბრძოლისა, მოძრაობისა და მოქმედებისა ბიოლოგიაში შეეფერება ორ ბიოლოგიურ პროცესს არსებობისა, მოქმედებისა და ბრძოლისა.

ჩვენ უკვე განვიხილეთ მოკლედ ბიოლოგიური ორ გვარი პროცესი და ვნახეთ, რომ ბიოლოგიურ არსებათა მოქმედების, მოძრაობის, ბრძოლის პროცესს ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ორი მიმართულება აქვს. ერთი, როდესაც წრე, რომელშიდაც ბიოლოგიური არსება წარმოიშობა და ვითარდება, წარმოადგენს მისი წარმოშობის, ზრდის და განვითარების ხელის შემწყობ პი-

*) იხ. ქარ. № 1.

შემატკივრებმა მიჰმართეს სინდიკალურ აზრების გავრცელებას. რადგანაც ეს მოძღვრება ახალი ხილი იყო, მასზედ ჯერჯერობით მხოლოდ ბაასი, ლაპარაკი იყო გამართული. იგი არსებობდა, როგორც მიმართულება. მაგრამ მალე მას შემდეგ ამ აზრის განხორციელებაც დაიწყო. ლაყბობის სფერიდან იგი გადავიდა პრაქტიკულ ნიადაგზე. ბევრმა იუცხოვა ეს მიმართულება. სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მიმდევრებმა ეს მიმართულება გამოიყენეს, როგორც ვიწრო პროფესიონალური მოძრაობა და სრულიად დაუქვემდებარეს მათ პოლიტიკურ პარტიების დირექტივებს და ნებასურვილს. ეს პროფესიონალური მოძრაობა მათ ჩააყენეს გერმანულ შაბლონურ კალაპოტში და მექანიკურად გადმონერგეს იგი რუსეთში.

პროფესიონალურ კავშირებს უფროს ერთ შემთხვევაში მიეცა სოციალ-დემოკრატიის წყალობით პოლიტიკური ელ-ფერი და ეს უკანასკნელი, თუ არ შეიცვალა, უსათუოდ მოსპობს მათ. რუსეთის და საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ სახელმწიფოებრივ ძალდატანების ტრფიალით გაჟღენთილმა შეაცურა ეს კავშირები პოლიტიკის მორევში. ეს ნიადაგ-შეუფერებელი ორგანიზაციები ხელოვნურად შექმნილ დაწესებულებას წარმოადგენენ და რასაკვირველია, ხანგრძლივი და მუდმივი არ იქნებიან.

მაგრამ ამ ვიწრო პროფესიონალიზმს თანდათან ეცვლება ელ-ფერი და იგი იღებს ნამდვილ სინდიკალისტურ ხასიათს. დიაღ, პროფესიონალურ მოძრაობის სფერაში ახალმა სიომ დაჰბერა.

მალე იგრძნეს, რომ მარტო კერძო პატარ-პატარა გაუმჯობესება მუშებისათვის კი არ არის საჭირო, არამედ საჭიროა აგრეთვე დაარსდეს საზოგადოდ თავისუფალი ასოციაცია, კავშირი, რომელშიაც უნდა მოჰყვნენ მარტო მუშები. ეკონომიური ინტერესი, როგორც მარტოდ-მარტო მუდმივი საფუძველი უნდა დაედოს სარჩულად სინდიკატის ორგანიზაციას. დანარჩენი ინტერესები, როგორც მაგალითად რელიგიური, სარწმუნოებრივი, ინტელექტუალურ-გონებრივი, მეცნიერული და სხვა, ყველა ცვალებადია და როგორც ასეთი, სრულიად არ გამოდგება კავშირის ჭეშმარიტ საფუძვლად. შეიგნეს აგრეთვე ისიც, რომ სინდიკატები პროფესიონალური კავშირები არ უნდა გახდნენ პოლიტიკურ პარტიების მაჩან-

რობებს, მაშინ ორგანიზმი არსებობს ნაკლებ დამაბრკოლებელ წრეში. უმცირესი დაბრკოლების წრეში არსებობა კი იმავე დროს წარმოადგენს არსებულის ზრდას და განვითარებას, არსებულის ზრდა და განვითარება კი იმავე დროს მისი მოძრაობის, მოქმედების ზრდა და განვითარებაა მოქმედების და მოძრაობის ზრდა და განვითარება გულისხმობს ენერგის ზრდას და განვითარებას—ეკონომიას ენერგიისას; საქმე ამით არ თავდება. ეკონომია ენერგიისა, მოქმედებისა და მოძრაობისა მით უფრო ნაკლებია რამოდენად სივრცე, წრე, რომელშიდაც ორგანიზმი მოძრაობს, იბრძვის, მოქმედებს უფრო დამაბრკოლებელია; ეკონომია ენერგიისა, მოქმედებისა და მოძრაობისა მით უფრო მეტია, რამოდენად წრე, სივრცე, რომელშიდაც ბიოლოგიური არსება მოქმედობს იბრძვის, უმცირესად დამაბრკოლებელია; წრე სივრცე, რომელშიდაც ბიოლოგიური ორგანიზმი იბრძვის; მით უფრო დამაბრკოლებელია, რამოდენათ დიდია მანძილი, რომელიც ჰყოფს მებრძოლ, მომქმედ ორგანიზმს თავის წრისაგან, ე. ი. რამოდენად მებრძოლი ორგანიზმის ზედ-მოქმედება იმ წრეზე, რომელშიდაც ის ცხოვრობს და მოქმედობს არა პირდაპირია, საშუალობითია, რამოდენად ის იძულებულია არა პირდაპირ იმოქმედოს დაბრკოლებაზე, რომელსაც წრე აღმოუჩენს მის მოქმედებას. წრე, სივრცე, რომელშიდაც ორგანიზმი იბრძვის, მოქმედებს, მოძრაობს მით უფრო უმცირესად დამაბრკოლებელია, რამოდენადაც მცირეა მანძილი, რომელიც მებრძოლ, მომქმედ ორგანიზმს ჰყოფს თავისი წრისაგან, ე. ი. რამოდენად მებრძოლი ორგანიზმის ზედმოქმედება იმ წრეზე, რომელშიდაც ის ცხოვრობს და მოქმედებს პირდაპირია, უსაშვალოა, რამოდენად ის თავისუფალია პირდაპირ იმოქმედოს დაბრკოლებაზე, რომელსაც წრე აღმოუჩენს მის მოქმედებას.

არც ამით თავდება საქმე. ორგანიზმი იძულებულია არაპირდაპირ იმოძრაოს დაბრკო-

ჩალად. მუშებმა თვითონ უნდა შეჰქმნან ბრძოლის საშუალებანი და გაიკვლიონ ნამდვილი, მიზანშეფერებული გზა სრულ თავისუფლებისაკენ. უპირველესი საშუალება ამ ბრძოლისა, რასაკვირველია საერთო გაფიცვაა, მაგრამ ისეთი საერთო გაფიცვა კი არა, რომელიც სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მიმდევრებმა მიიღეს ანარქისტების ზე-გავლენით და რომელსაც პოლიტიკური ხასიათი მისცეს, და დაარქვეს პოლიტიკური მასსიური გაფიცვა (политическая массовая стачка). მძლავრი, ნაყოფიერი იყო იდეა, ანარქისტებისაგან გადასროლილი ხალხის, საზოგადოების სფერაში და რომ ხალხს, საზოგადოებას არ ჰგონებოდათ ანარქისტებს დაჰსესხებიანო, გამოუგონეს ახალი სახელი და მისცეს სხვა ხასიათი. მაგრამ ანარქისტები, რასაკვირველია, არ დაემდურებიან ამგვარ უმადურობისათვის და არ უკიჟინებენ უზრდელობას, არა-ლამაზს საქციელს. დაე, ვინც რა უნდა სთქვას, მხოლოდ იდეამ გაიმარჯვოს. ეს მართლაც საუკეთესო, მუშებისათვის ხელ-საყრელი იარაღი, საერთო გაფიცვა დიაღ ძალიან მოსახმარია მხოლოდ, რასაკვირველია, არა საარჩევნო საერთო უფლების მოპოვებისათვის, არამედ ნამდვილ სოციალურ მოძრაობის შექმნისათვის. ეს სოციალური რევოლიუცია — უპირველესი მისასწრაფი მიზანია პროლეტარიატ-მშრომელ ხალხისათვის და ამისათვის ნიადაგის შემზადებას უნდა შეალიოს დღენი თვისნი ყოველმა მათ გულ-შემატკივარმა, ინტერესების დამცველმა, ჭეშმარიტმა მებრძოლმა. მაშ, ეკონომიურ ნიადაგზე საერთო გაფიცვისაკენ სვლა პირდაპირი მოქმედებით—აი საუკეთესო ნაყოფის მომტანი გზა!..

ამ გზას დაადგნენ უკვე ბევრნი ვინც შესაფერად და შეღგრად გაიმსჭვალა მუშების ინტერესების დაცვის სურვილით. ეს მიმართულება ისე ძლიერდება, რომ ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს, როგორიც მაგალითად ცნობილი მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი გ. ხრუსტალიოვია, ათქმევინა, რომ შეიძლება დამყარდეს მუშათა ნამდვილ ორგანიზაციებს და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შუა იგივე არა სასურველი ურთიერთობა, რა ურთიერთობაც არსებობს ახლა საფრანგეთში უპარტიო სინდიკატებს, შრომის ბირჟებს და სოციალისტურ პარტიის შუა. რასაკვირველია, ეს მოძრაობა ძლიერი, რომ არ ყოფილიყო, აბა როგორ მოვისმენდით ამგვარ სიტყვებს

---

ლებისაკენ, იმოქმედოს მასში, ებრძოლოს მას, მაშინ, როდესაც ის თვით თავის ბუნებით კი არ შეეზღუდება, შეეგუება დაბრკოლებას, რომელსაც წრე აღმოუჩენს, არამედ ის შეზღუდულია, შეგუებულია გარეშე მისთვის უცხო ძალების და პირობების მიერ. ორგანიზმი თავისუფალია პირდაპირ იმოძრაოს, დაბრკოლებისაკენ, იმოქმედოს მასში, ებრძოლოს მას, მაშინ, როდესაც ის შეეგუება დააბრკოლებას, რომელსაც წრე აღმოუჩენს გარეშე მისთვის უცხო ძალების, პირობების მეოხებით კი არა, არამედ თვით, თავის ბუნების და გვარად.

როდესაც დაბრკოლებისა და ბიოლოგიური ინდივიდის ურთი ერთობა პირდაპირი, თავისუფალია და წარმოადგენს ეკონომიას ენერგიისას, მაშინ ეფექტიც პირდაპირია, დაუგვიანებელი იმოდენად, რამოდენად ურთიერთობა თავისუფალია და მაშასადამე სწარმოებს დროის ეკონომია.

წინააღმდეგი პროცესი ცხადია თავის თავად.

მაშასადამე ბიოლოგიური პროცესიც, წესიც ორგვარია:

1, მოქმედება უმცირესად დამაბრკოლებელ წრეში, ბრძოლა ცხოვრების მოთხოვნილებათა უმეტესი დაკმაყოფილებისათვის, უმეტესი თავისუფლებისათვის, უმცირეს დროისი და ენერგიის ხარჯი და უმეტესი ნაყოფი—ეკონომია დროისა და ენერგისა; 2, მოქმედება უმეტეს დაბრკოლების წრეში, ბრძოლა ცხოვრების მინიმუმისათვის, ცხოვრების უფრო და უფრო შემცირებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, უფრო და უფრო მცირე თავისუფლებისათვის, უმეტესი დროის და ენერგიის ხარჯი—ფლანგვა დროისა და ენერგისა. ცხოვრების მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ მოქმედების—არსებობისთვის ბრძოლის საშვალება უკვე მოკლედ განვიხილეთ ის პროცესი, რასაც ბიოლოგიაში არსებობისათვის ბრძოლას უძახიან. ეხლა ვნახოთ რა გზით, რა საშვალებით და როგორ სწარმოებს ეს პროცესი.

ორთოდოქს მარქსისტ სოციალ-დემოკრატისაგან. ბაგენი მისნი ამგვარ სიტყვებს ვერ წამოისვრიდნენ.

მაგრამ, სიმართლე მოითხოვს, ესეც ვსთქვათ გულ-ახდილად, რომ სოციალ-დემოკრატიაში, განსაკუთრებით მეუმცირესეთა, მენშევიკების წრეებში ჩნდებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც თანდათან პოლიტიკას სტოვებენ და სულით და გულით ემხრობიან რევოლიუციონურ ეკონომიურ მოძრაობას, რაიც ჰბადებს სინდიკალიზმის დამყარების სურვილს. ჩვენ აქ გვერდით არ შეგვიძლია ავუაროთ შემდეგ გარემოებას, რომელიც მეტად საგულისხმოა ყველა იმისათვის, ვინც დაინტერესებულია ამ ჩვენი წერილის საგნით: მოსკოვში თებერვლის დასაწყისში შეიკრიბა პირველი კონფერენცია ლითონზე მომუშავე მუშების საპრეწველო კავშირებისა. მოსკოვმა, პეტერბურგმა, ლუგანსკმა, დონმა, სარატოვმა, სმოლენსკმა, ვიტებსკმა, მიტიშჩებმა, ივანოვოვოზნესენსკმა, ტულამ, ასე გასინჯეთ ჩვენმა ბაქომაც გაგზავნეს წარმომადგენლები, ე. ი. დელეგატები. კონფერენციაზე დაესწრო თითქმის 30.000 მუშის წარმომადგენელი, რომელიც შეადგენს 11 % ყველა ამ ადგილებში ლითონზე მომუშავე მუშებისა რომელნიც 270 000 აღემატება ეს ამოდენა რიცხვი 11 % მუშების პროფესიონალური გზაზე დადგა მხოლოდ რამოდენიმე თვეში. კონფერენცია კარგა ხანს გაგრძელდა. საგანი განხილვისა იყო ლოკაუტი, მუშათა შრომის დაცვა, პროფესიონალურ კავშირთა პარტიობა, თუ უპარტიობა, ნეიტრალობა და სხვ. აქ, რასაკვირველია ჩვენ შევჩერდებით მარტო იმ რეზოლიუციაზე, რომელიც შეეხება პროფესიონალურ კავშირთა ნეიტრალობას. მოვიყვანთ ამ რეზოლიუციას სრულად.

„პროფესიონალური კავშირები, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანოები,—იმ კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც საბოლოო მიზნად დასახული აქვს სრული გაუქმება დაქირავებულ შრომის წესრიგისა, სისტემისა,—წარმოადგენენ სოციალიზმის სკოლას მუშათა ფართო მასსისათვის, წრეებისათვის. ყველა იმ საკითხების სფეროში, რომელიც შეეხებიან პირდაპირ მათ ინტერესებს, ეს კავშირები ადგანან მუშათა კლასობრივ პოლიტიკას, რომელიც ძლიერ ეწინააღმდეგება პოლიტიკას ყველა იმ პარტიებისას, რომელნიც იცავენ კაპიტალის ინტერესებს.

---

ბრძოლა არსებობისათვის არის მოქმედება, რომლითაც დაკმაყოფილებულია ცხოვრების მოთხოვნილება. საშვალებანი ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში ორ გვარია: ხელოვნური შერჩევა და ბუნებრივი შერჩევა. ჯერ განვიხილოთ ხელოვნური შერჩევა საგნის უკეთესად შეგნებისათვის.

ბიოლოგიური შერჩევა საზოგადოთ სწარმოებს ან ხელოვნურად—ადამიანის საშვალებით, ან ბუნებრივად—თვით ბუნების მიერ და ბიოლოგიურ ინდივიდების შორის, უადამიანოდ, პირდაპირ, იმათ შორის ვინც შერჩეული არიან.

როდესაც ხელოვნური შერჩევა სწარმოებს, მაშინ ადამიანი იღებს მონაწილეობას და თავის გეგმის, სურვილის და გვარად აწესრიგებს და მიმართავს შერჩეულების ურთიერთობას, ის მხედველობაში იღებს თავის მოთხოვნილებას, რომელსაც უქვემდებარებს შერჩეულების მოთხოვნილებას, რის გამო ნაყოფი ხელოვნური შერჩევისა სასარგებლოა შემრჩევისათვის, რომელიც ამ შემთხვევაში უცხო ელემენტი, დაბრკოლების გამდიდებელია შერჩეულთა მოქმედებაში და მაშასადამე ხელოვნური შერჩევა საზიანოა შერჩეულთათვის, რადგან ხელოვნური შერჩევა მათი მოთხოვნილების, მათი დამაკმაყოფილებელი ბრძოლის საშვალება კი არ არის, არამედ მათი ბუნების წინაღმდეგი—მათი პროგრესიული განვითარების პროცესის, უმცირესი დაბრკოლებისკენ მოძრაობის წინააღმდეგი საშვალებაა. ცხადია ამიტომ, რომ ხელოვნური შერჩევა წარმოადგენს შეზელას და შეგუებას თავის მისწრაფების და გვარად კი არა, არამედ შემრჩევის სურვილის და გვარად; ამ გვარი შეზელა წრესთან, ამ გვარი შეგუება ბუნებასთან გაამტკიცებს მის მიმართულებას, მისწრაფებას კი არა, არამედ შემრჩეველისას, რის გამო თვით მოქმედებას მოკლებული შერჩეულები უფრო და უფრო გადაეჩვევიან პირდაპირ მოქმედებას, ჰკარგავენ ნიჭს ბრძოლისას, მოქმედებისას იმათ სასარგებლოდ, ვინც მარ-

თავიანთ მიზნის მისაღწევად პროფესიონალურ კავშირებს შეჰყავთ ორგანიზაციაში ყველა მუშები, იმისდა მიუხედავად, რა ეროვნებას ეკუთვნიან ისინი, ან რა სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ რწმენისა არიან. ეს კავშირები წარმოადგენენ პარტიის გარეშე მდგომ მუშათა ორგანიზაციებს, რომელნიც ორგანიზაციის მხრით სრულიად არ არიან დაკავშირებულნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან.

კონფერენცია ემყარება ამ ძირითად დადგენილებათა და იღებს მხედველობაში: 1) რომ ყოველი დანაწილება მუშათა ძალებისა ეკონომიურ ბრძოლის სფერაში იწვევს მძიმე და გაუსწორებელ ზიანს მუშათა კლასის ნამდვილ არსებით ინტერესების დაცვაში და ემსახურება მხოლოდ კაპიტალისტების სარგებლობას; 2) რომ ეს დანაწილება აუცილებელია, უკეთუ პროფესიონალურ კავშირების ცალკე წევრები გამოიყენებენ პროფესიონალურ ორგანიზაციებს პარტიულ პოლიტიკურ ხასიათის დისკუსიებისათვის, რაიც შეუძლის კავშირებს მოჰკიდონ ხელი პირდაპირ მათ არსებით საგნების განხილვას და გარდაწყვეტას.

ამიტომ კონფერენცია დაბეჯითებით ურჩევს პროფესიონალურ კავშირების ყველა წევრებს ბრძოლა გაუწიონ ყოველ ამ გვარ ცდას, ვის თაოსნობითაც უნდა იყვეს ეს ცდა წარმომდგარი;-ურჩევს აგრეთვე იზრუნონ, რომ შიგ პროფესიონალურ ორგანიზაციებში არა ჰქონდეს ადგილი პარტიულს კამათს და დავიდარაბას როგორც სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებ!ა, ისე ერთი და იმავე პარტიების სხვა და სხვა ფრაქციების შუა".

ამ რეზოლიუციამ, რომელმაც სრულებით ახალი სიო შეიტანა პროფესიონალურ კავშირების არე-მარეში და რომელიც პროლეტარიატის მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს სინდიკალურ მოძრაობის გზაზე, დიდი აურ-ზაური ასტეხა „პოლიტიკით" განქღენთილ პარტიულ წრეებში. ძალიან ბევრი მოწინაალმდეგე აღმოუჩნდა ამ რეზოლიუციას ორთოდოქსების წრეებში მით უფრო, რომ მისი ავტორი და დამცველი იყო ერთი მეუმცირესეთაგანი, „მენშევიკი", გავლენიანი მომუშავე ამხანაგი ბაქოელ მუშათა შორის.

„მეუმრავლესეთა" ორგანომ „ისტინამ", ( № 3) მაგალითად, საშინლად იუცხოვა ეს გარდაწყვეტილება კონფერენციისა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ ამ რეზოლიუციას შეუძლია დაჰბადოს დიდი უთანხმოება პროფესიო-

---

თავს მათ მოქმედებას თავის დაარა მათი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ცხადია აქედგან, რომ თუ საშვალება ბრძოლისა ისეთია, რომ მის გამო მოქმედება, ბრძოლა მიმართულია მათ ბუნებრივ მისწრაფებათა, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებად კი არა, არამედ მათ შემრჩევთა სურვილის თანახმათ, სასარგებლოთ, მაშინ მოქმედება და მაშასადამე ენერგია გაფლანგულია, ხელს უწყობს არა შერჩეულთა ცხოვრებას და მოთხოვნილებას, არამედ შემრჩეველებს, მაგრამ, რადგან ამ გვარი მოქმედება მათი ბუნების წინააღმდეგია, მათი ყოფნის თუ არა ყოფნის კითხვაა, მათი ცხოვრების მოთხოვნილების ყოფაა, ამიტომ ისინი ეწინააღმდეგებიან მტრულ ძალებს თავის ბუნებრივ განვითარებაში, რის გამო სწარმოებს ძალების გამოკლება, მოქმედებათა „უჩოტი", შერჩევის უცხო ელემენტების და შერჩეულთა შორის, რასაც ენერგიის საერთო ფლანგვა მოსდევს, ენერგიის ფლანგვას კი მოსდევს ეფექტის, ნაყოფის სისუსტე და ნაყოფიერი მოქმედების, ბრძოლის ნიჭის დაკარგვა.

ენერგიის გაფლანგვის და ბრძოლის ნიჭის დაკარგვას მოსდევს პროგრესიული განვითარების უარყოფითი მოძრაობა დროში—დროს გაფლანგვა—, ყველას ერთად კი მოსდევს ცხოვრების მინიმუმი; მაშასადამე ხელოვნური შერჩევა ისეთი საშვალებაა ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს არაპირდაპირ უცხო ელემენტის მეოხებით, დაძალებით და დახასიათებულია ენერგიის, დროის, ბრძოლის, მოქმედების უნარის დაკარგვით, მინიმალური ცხოვრებით და თვით ამ ცხოვრების პროცესის, წესის, თავისუფლების თანდათანი შემცირებით და ბოლოს სრული მოსპობით. ყველა ამასთან ერთად ხელოვნური-იძულებით—შერჩევა, რომელიც სწარმოებს ადამიანის, ან სხვა (ქიანჭველებში მაგალ.) უცხო ელემენტის ჩარევით, სწარმოებს ძლიერ ჩქარა, ე. ი. ენერგიის, ნიჭისა, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, თავისუფლების და ცხოვრე-

ნალურ კავშირების ცხოვრებაში, რადგანაც სოციალ-დემოკრატიას ნიადაგი ეცლება პარტიულ აგიტაციისათვის. იმავე გაზეთმა გულუბრყვილოდ აღიარა, რომ პროფესიონალური კავშირები სოციალიზმის სკოლად ვერ გადიქცევიან, როგორც ამას ჰფიქრობს კონფერენცია, რადგანაც „სოციალისტური აზრების პროპაგანდა, ქადაგება გაძევებული იქნება პროფესიონალურ კავშირების სფეროდან“. ის კი არ იცის ამ გაზეთმა, რომ რეზოლიუციაში მხოლოდ „პოლიტიკის“ გაძევებაზეა ლაპარაკი და არა სოციალიზმის და სოციალისტური იდეების. ან ნუთუ არ ესმის გაზეთს, რომ სოციალისტურ აზრების მოთხოვნილების თანახმად მოწყობილ კავშირებს შეუძლიან განუვითარონ მუშებს სურვილი ამ გვარად ცხოვრებისა. ეს კავშირები კი ხომ ნამდვილი, ჭეშმარიტ საფუძველზე დამყარებულნი, ორგანიზაციები არიან, რომელნიც მოასწავებენ მომავალ, ყოველსავე უთანასწორობას მოკლებულს, საზოგადო წყობილებას.

„ნუთუ აღმოაჩინეს ახალი სოციალიზმი, წმინდა პროფესიონალური?“—გაოცებით კითხულობს გაზეთი.

მაგრამ მკითხველი თვითონ მიხვდება, რომ აქ არ არის ლაპარაკი არც ახალ სოციალიზმზე, პროფესიონალური, იქნება იგი თუ პროლეტარულ, სოციალ-დემოკრატიული. საქმე ის არის, რომ ჩვენმა მონოპოლისტ-სოციალისტებმა კარგა ხანია აღიარეს საჯაროდ, რომ პროლეტარიატი და სოციალ-დემოკრატია ერთი და იგივე ცნებას ნიშნავს, რომ პროლეტარული სოციალიზმი იგივე სოციალ-დემოკრატიულია. მაგრამ ეს შეცდომა ახლა ძვალსა და რბილში გაუჯდათ და არა ერთხელ იმეორებენ. ჩვენ კი ჩვენდა თავად ვფიქრობთ, რომ აქ დიდი დანაშაული მიუძღვის სახელმწიფოებრივ სოციალიზმის მიმდევრებს. მათ ჰგონიათ, რომ პროლეტარები მათი ყმები არიან და ამიტომ მათ შეუძლიათ მხოლოდ თუთი ყუშივით ამეორებინონ ის, რაც მათ სწადიათ. მაგრამ ეს ასე არ არის. როგორც ყოველგან, ისე აქ საჭიროა უპირველესს ყოვლისა შეგნება—თვით ცნობიერება. პროლეტარიატის უფრო შეგნებულმა ელემენტებმა სხვა გზა, უფრო ჩქარი და მიზან შეფერებული, აარჩიეს და აკი კიდეც დაიწყო მუშაობა. ამ შეგნებულმა ნაწილმა აღიარა, რომ სოციალიზმს სახელმწიფოსთან არავითარი კავშირი არა აქვს, რომ ძალ-დატანება, რა სახისაც უნდა იყვეს იგი,

ბის ფლანგვა დაჩქარებულია იმოდენად, რამოდენად ამით მათი ეკონომია დაგვიანებული, რარამოდენად უფრო ჩქარი, უფრო ხან მოკლეა ხელოვნური შერჩევა, იმოდენად უფრო წარმავალი, ეფემერული, არა რეალურია ის, რადგან ის შერჩეულისთვის იმოდენად არა არსებითი და ფორმალურია, რამოდენად შემრჩეველთათვის არსებითი და არა ფორმალური.

ხელოვნურ შერჩევას ცოტა დრო სჭირია, მაშინ, როდესაც ბუნებრივი შერჩევა ხანგრძლივია; ამიტომ პირველის ნაყოფი სუსტად ფორმალურად ზეზეურად შეგუებული და შეზრდილია არსებობისთვის ბრძოლაში, მაშინ როდესაც უკანასკნელის ნაყოფი ძლიერ, არსებითად და დეტალურად შეზრდილია ბრძოლაში, პირველის ნაყოფი იმ გვარადვე ადვილად ირღვევა და სწრაფად უბრუნდება თავის პირველ ყოფილ მდგომარეობას, რამოდენად მისი განვითარება ხან-მოკლე, დაძალებული, არაპირდაპირი, ხელოვნურია;

მეორე მით უფრო გამძლეა დროში, მით უფრო მეტი აქვს ნიჭი წინააღმდეგობისა, მით უფრო წინააღმდეგია დაუბრუნდეს თავის პირველ ყოფილ მდგომარეობას, რამოდენათ მისი განვითარება ხანგრძლივი, ბუნებრივი, პირდაპირი, თავისუფალია.

ცნობილია თუ როგორ სწარმოებს ხელოვნური შერჩევა, ცხოველებში თვით ცხოველების და ადამიანის მიერ.

განვიხილოთ ხელოვნური შერჩევა თავით ადამიანთა შორის ბიოლოგიური მხრით და რაც შეეხება სოციალურ შერჩევას, ამას თავის დროზე განვიხილავთ.

ცნობილია როგორ სწარმოებდა ადამიანების ბიოლოგიური შერჩევა სპარტაში. როგორც კი დაიბადებოდნენ ბავშვები, მაშინვე გასინჯავდნენ. ყველა ავადმყოფ, სუსტ, სხეულის ნაკლულევანების მქონე ბავშვებს ხოცავდნენ და სტოვებდნენ მაგარ და ღონიერ აგებულების ბავშვებს, მხოლოდ

სრულიად არ შეეფერება სოციალიზმის ბუნებას და ამისდა მიხედვით მათ ამჯობინეს თვით ამ ჩვენი დროის ბურჟუაზიული ხანაშივე, საზიზღარი წესწყობილების დროს, შეექმნათ ისეთი ორგანიზაციები, რომელნიც, მუდმივ საფუძველზე, ეკონომიურ ინტერესებზე დამყარებულნი, მიიყვანენ სამოთხის კარამდის არა მარტო პროლეტარიატს, არამედ ხალხის არა პროლეტარიულ ელემენტებსაც, რადა კი ესენი შეიგნებენ აუცილებელ სვლას კაცობრიობის წარმატებისას.

რა თქმა უნდა ზემოდ მოყვანილი რეზოლიუცია არ არის მთლად სინდიკალიზმის ცნების გამომსახველი, მაგრამ იგი მაინც პირველი ნაბიჯია წარმატების გზაზე და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ ახალმა მიმართულებამ შესაფერი ნიადაგი მოიპოვოს პროლეტარულ წრეებში. ეს მიმართულება მარტო სოციალ-დემოკრატებს არ უფრთხობს ძილს, იგი სოციალისტ-რევოლიუციონერებს, ბუნდისტებს და ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტებსაც არ ეპრიანათ, ვერ მოუვიდათ გემოზე. ისინი აფრთხილებენ: „არიქა, მიეშველეთ მუშებს, შეჰქმენით პროფესიონალური კავშირები, მხოლოდ თქვენი, ე. ი. პოლიტიკურ პარტიების ზე-გავლენის და ზედამხედველობის ქვეშ დააყენეთ, უქადაგეთ „პოლიტიკა“ თორემ დაიღუპება საქმეო, ყველა მუშები სინდიკალისტებათ, და ანარქისტებათ გადაიქცევიანო; რომლისკენაც ჩვენს მუშებს ემჩნევათ მიდრეკილობაო“! ასე ღაღადებდა, სხვათა შორის, სოციალისტ-ბურჟუაზიული ორპირი გაზეთი პროფესორ ხოდსკისა, „ტოვარიში“, რომელიც „ნაშა ჟიზნ“-ის მაგიერ გამოდის (იხ. ამ გაზეთის № 219, 18 მარტის 1907 წ).

ვითომ რაო? ნუთუ თქვენ, არა მკითხე მზრუნველებო პროლეტარიატისა გგონიათ, პროლეტარიატი ისე შეუგნებელია, რომ ვეღარ გაარკვევს გზას, ვერ აირჩევს საშუალებას, რომელიც მას გამოადგება მძიმე, ხანგრძლივ, მაგრამ ძლევა მოსილ და გამარჯვებით შეჭურვილ ბრძოლაში?

ასე და ამ გვარად. ახალი იდეა, ახალი მიმართულება, ჭეშმარიტება, გზას იკვლევს. La vérité en marche... და ვერაფერი დაბრკოლება, ვერავითარი სახიფათო მიზეზი მას ვერ სძლევს. პროლეტარიატი და მასთან ერთად ყველა მისი თანამგრძნობი ელემენტები შეითვისებიან ახალ მიმართულებას...

ახლაც გამოდის რუს-სინდიკალისტების

---

ამათ აძლევდენ ცხოვრების უფლებას.

საბერძნეთის კულტურულ განვითარების ისტორიაში სპარტელებს არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით, წინააღმდეგ, მათი არსებობა ერთ მიზეზთაგანი იყო ატიკის და განსაკუთრებით ათინელ კულტურის დაცემისა. სპარტას არც ერთი შესანიშნავი მოაზრე, არცერთი შესანიშნავი ფილოსოფოსი, მეცნიერი, ორატორი, პოლიტიკური მოღვაწე არ წარმოუშვია მისი სოციალური განწყობილება და ცხოვრება თითქმის წმინდად ცხოველური იყო, მაშინ, როდესაც საბერძნეთის სხვა მხარეებმა და განსაკუთრებით ათინამ და კიდევ უფრო მეტად დემოკრატიულმა ათინამ წარმოშვა უდიდესი ფილოსოფიური და მეცნიერული თეორიები და თითქმის თანამედროვე საუკეთესოთ მიჩნეული სოციალური წეს-წყობილება, ერთი სიტყვით წარმოშვა ის, რასაც ბერძნულ კულტურას ეძახიან: მრავალი ველურთა მოდგმა დღესაც სპარტელებსავით იქცევიან თავიანთ შთამომავლობის შერჩევაში იმის მაგიერ, რომ დაუთმონ ბუნებას მათი შერჩევა, სპარტელების მსგავსად მათი განვითარებაც ცალ-მხრივია და უქადის მათ იმგვარადვე გაქრობას, როგორც სპარტელები გაქრენ ისტორიაში და რომლებმაც თავიანთ არსებობის სუსტი ნიშნები დახტოვეს.

ვნახოთ ეხლა როგორია ხელოვნური ბიოლოგიური შერჩევა თანამედროვე საზოგადოებაში.

ის რასაც ჩვენ დროში მუდმივ ჯარს ეძახიან წარმოადგენს საუცხოვო მაგალითს ბიოლოგიური ხელოვნური შერჩევისა. ცნობილია, რომ „სალდათად“ არჩეულია ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც აკმაყოფილებენ როგორც ზომას სხეულის შენობისას, აგებულებისას, ისე ჯანმრთელობას, ფიზიკურ გამძლეობას, გაჭირვების გადატანის მოთხოვნილებას, შემდეგ ამისა ისინი შეადგენენ მუდმივ მხედრობას და რამოდენად ფიზიკურად უკეთ აგებუ-

ორგანო, სახელად „კავშირის საქმე“ (Союзное Дѣло). იგი ისტამბება კრებულებათ და ემსახურება პროფესიონალურ მოძრაობას და კოოპერაციას. მაგრამ ამ ორგანოს სამწუხაროდ ისეთი პირები უდგანან სათავეში, როგორც არის მაგალითად ლ. კოზლოვსკი. ამ პირებს ის უბედურება სჭირთ, რომ საგნებს თავის ნამდვილ სახელს ვერ უწოდებენ, თითქოს რილასიც ეშინიანთ. ეს პირები, როგორც მაგალითად იტალიელი არტურ ლაბრიოლა და ფრანგი ლაგარდელია რაღაც საოცარი მოძღვრების, მარქსისტულ ანარქიზმის, მიმდევრები არიან, მხოლოდ სიტყვას „ანარქიზმს“ უფრთხიან. მაგრამ, ვინ არიცის, რომ აქ საქმე სახელ.წოდებაში არ არის. საქმე ის არის, რომ იმისთანა ორგანიზაციები იბადება, იმისთანა ნიადაგი მზადდება, იმისთანა საშუალებანი ჩნდება, რომ პროლეტარიატის მომავალი გამარჯვება ცხადზედ უცხადესია...

ახალი მიმართულება, რომელმაც ასე ჩქარა და ასე მძლავრად გაიკაფა გზა და მიიპყრო პროლეტარიატის თანამგრძნობი ყურადღება, როგორც უკვე ვსთქვათ, ძალიან არ ეპრიანა ზოგიერთებს, რომელთაც „პოლიტიკა“ კარგა ხანია გაუხდიათ სათაყვანებელ საგნად. სახელმწიფო, იძულება, უფლება—ყველა ეს შეადგენს მათ ფეტიშებს. კერპებს. ეს ვაჟ-ბატონები, რომელნიც კარგად ხედვენ სინდიკალურ იდეის მძლავრ და გამარჯვებით მოსილს მსვლელობას, რომ ვერ ჰპოულობენ თავიანთ უბადრუკ არსენალში უკეთესს საბრძოლველ იარაღს მიჰმართავენ ხოლმე ფრიად საძრახისს საპოლემიკო ფანდს. სხვათა შორის, პ. ბერლინი უკვე ნახსენებ გაზ. „ტოვარიშჩის“ № 278-ში ამ მოძრაობას იმით ხსნის, რომ რუსების არისტოკრატიას, როგორც ამას მოწმობს თვით კარლ მარქსი თავის ერთ-ერთ წერილში კუგელმანთან, ჩვეულება აქვს მისდიოს ყოველსავე უკიდურესს მიმართულებას“. აქედან ხსენებული ავტორი ასკვნის, რომ სინდიკალიზმით გატაცებაც მოდააო, მაგრამ გულუბრყვილო ავტორს ავიწყდება, რომ მარქს არისტოკრატია ჰყავდა სახეში, როცა იმ წერილს სწერდა. ახლა კი სინდიკალიზმი—ეს ყოვლად მარტივი, ადვილად გასაგები მოძღვრება მოსწონს სწორედ იმ ელემენტებს, ვინც უფრო დაინტერესებულია ინდივიდთა შორის ნამდვილ ურთიერთობის დამყარებით.

იგივე ავტორი გვეუბნება, რომ რუსეთს ჯერ არ უგემნია პარლამენტარული რეჟიმი

---

ლია ახალ-გაზრდა, მით უფრო მეტია შანსები იმისა, რომ ის ომში მოიკლას. რამოდენად გამანადგურებელი და გამაჩანაგებელია დღევანდელი ომი (რუსეთ-იაპონიის ომი მაგალ.) ცნობილია და მაზე ლაპარაკიც მეტია, მაგრამ ამასთანავე მსხვერპლი დღევანდელი ომებისა მეტია, მაშასადამე ამ რიგად იხოცება საუკეთესო ნაწილი, ფიზიკური მხრით, საზოგადოებისა და რჩებიან სახლში ავადმყოფები, სუსტნი, დასნეულებულები.

ამ გვარად რამოდენად დაბალი ფიზიკური თვისების არის ადამიანი იმოდენად მეტია მისი შანსი იქონიოს ოჯახი და ამრავლოს თავისი მსგავსი ფიზიკური დეგენერატები და კავშირი მრთელ, ძლიერ ფიზიკურ აგებულობის და გონებრივ სიძლიერის შორის თანდათან იშვიათი მოვლენაა.

არც ერთი ქლექიანი, არც ერთი სიფილიტიკი, პარალიტიკი და სხვა სამხედრო სამსახურში არ არიამ მიღებულნი, მათ ეძლევათ უფლება ცხოვრებისა და გამრავლებისა სხვა გზის უქონლობით და ისინი კი ვინც ფიზიკურად უნაკლულო არიან იგზავნებიან ომის ველზე სასიკვდილოდ.

მეორე მხრით ისინი, ვინც გონებრივად მაღლა დგანან და ისინიც, ვინც წარმოშობენ და შესაძლებელს ხდიან კაცობრიულ კულტურას იძულებულნი არიან გაყიდონ თავიანთი თავი ეკონომიურ ბაზარზე იმ ფასად და გვარად, როგორც მოისურვებენ მსყიდველნი. ისინი იძულებული არიან ისეთ სქესობრივ შერჩევას, შერჩევას, რომელიაც ისეთი ნაყოფი მოაქვს გონებრივ განვითარებისათვის, როგორც „სამხედრო შერჩევას.“ რამოდენად უფრო მდიდარია ეკონომიურად ადამიანი და სუსტია გონებრივად, იმოდენად მეტი ალჩუ აქვს შთამომავლობის დატოვებისა და გამრავლებისა, მაშინ როდესაც უფრო შეზელილნი გონებრივ და კულტურულ წარმოებაში მოკლებულნი არიან იმოდენად შთამომავლობის დატოვების ალჩუს.

და რა საჭიროა, რომ ახლავე უნერგავთ პროლეტარიატს გულში სიძულვილს მისდამიო. ასე სჯის სოლცარი ლოღიკის მწერალი. მას ჰგონია, რომ, რადგანაც თითქმის ყველა ევროპის ქვეყნებმა შეიძინეს პარლამენტი, მაშასადამე უსათუოდ საჭიროა, რომ რუსეთმაც შეიძინოსო იგი. აი ამას ჰქვია სწორედ სიბრმავე. „თუ იარაღი არ გივარგა, შენ მაინც დაიჭირე იგი მტერთან საბრძოლველად, რადგანაც ყველას უჭირია ხელშიო.“ —ამას გვეუბნება „მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი“ ავტორი. ის არაფრად დაგიდევს, რომ შენ შეგიძლია სხვა რომელიმე ხალხის პრაქტიკაში გამოსძებნო უფრო უკეთესი საშუალება ბრძოლისა. მაგრამ ნუ დავუჯერებთ მას! ეს გზა შეცდომებით სავსეა. ამას ნათლად ამტკიცებს დღეს საფრანგეთი. ამ დიდებულ სარევოლიუციო ტრადიციებით განთქმული ქვეყნის ბურჟუაზიამ წამოაყენა საპოლიტიკო ასპარეზზე საუკეთესო თავისი წარმომადგენელი ნიჭიერი ჟორჟ კლემანსო. მოვიგონოთ, როგორ ეს ეხლანდელი მთავარ-მინისტრი საფრანგეთისა ებრძოდა თავისს წინამოადგილეებს, რამდენი მინისტრი გადმოაგდო ტახტიდან და თავი დაამტვრევინა სახალხო ინტერესების დაცვის საქმეში. მაგრამ დადგა დრო და თვით განთქმული კლემანსო თავის „საყვარელ“ საფრანგეთის მშრომელ ხალხს მისი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს წინ უდგება, რუსეთის ბიუროკრატ მინისტრებისაგან მაგალითს იღებს და ჯარის საშუალებით ებრძვის ისედაც ტანჯულ და მაშვრალ მუშებს. „ტოვარიშჩის“ პუბლიცისტს, რომ დავუჯეროთ, ჩვენმა პროლეტარიატმაც უნდა განავითაროს ეს პარლამენტარული კულტურა, რეჟიმი იმ ზომამდის, რომ ვინმემ რუსმა კლემანსომ ხიშტებით და „ნაგაიკებით“ თავი დაუმტვრიოს მებრძოლ პროლეტარიატს. მაგრამ თუ ეს ბრძოლა აუცილებელია, არა სჯობია, რომ მალე მოხდეს. ამ ბრძოლისათვის „ერთხელ ოდესმე მოსალოდნელი, რაც არის სჯობს თუ დღეს გათავდება, პოეტისა არ იყოს!.. განა არა სჯობია ახლავე ნიადაგი შემზადდეს?.. მაშ ნუ დავუჯერებთ ამ პარლამენტის მოყვარულ მოტრფიალეთ. დავუტოვოთ ამ პარლამენტით თამაში ბურჟუაზიას და გულ-უბრყვილოებით შეჭურვილ „მოღვაწეებს“ და ჩვენ კი შევუდგეთ ჩვენი მოკლე ძლევა-მოსილ გზის გაკაფვას. თორემ ის ცდა, რომელსაც გვირჩევს გაზ. „ტოვარიშჩის“ მწერალი ძალიან ძვირად დაუჯდება მშრომელ ხალხს.

---

უნდა დავკმაყოფილდეთ ჯერ ამ მაგალითებით.

ვნახოთ ეხლა როგორია ბუნებრივი შერჩევა.

ბუნებრივი შერჩევა მაშინ არის ბუნებრივი, როდესაც შერჩეულები თვით შეერჩევიან ბრძოლაში ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. როდესაც შემრჩეველის როლს ადამიანი კი არ თამაშობს ან გარეშე მტრული, უცხო ელემენტი კი არ მართავს შერჩევას, არამედ როდესაც ბრძოლა, მოქმედება შერჩეულისა პირდაპირ მიმართულია დაბრკოლების დასაძლევად ამ შემთხვევაში, როდესაც დაბრკოლების დაძლევა სწარმოებს პირდაპირი საშვალებით ენერგიის ხარჯიც უფრო მცირეა, ვინემ მაშინ, როდესაც ის არა პირდაპირია, რადგან არა პირდაპირი ბრძოლა გულისხმობს საშუალო (промежуточный) დაბრკოლებებს, რომლების დაძლევისათვის უნდა დაიხარჯოს იმაზე ზედ მეტი ენერგია, რაც საჭიროა პირდაპირი მიზნის მისაღწევად. თავისთავად ცხადია, რომ თუ საშვალებას პირდაპირ მიზანთან მივყევართ, მაშინ ენერგიის ხარჯიც ნაკლები იქნება, ნაკლები იქნება აგრეთვე უნაყოფო დროის ხარჯი და დიდი იქნება მაშასადამე დროის ეკონომიაც, მეტი იქნება მაშასადამე სიჩქარე მოძრაობისა ერთი მდგომარეობიდგან მეორისაკენ— უმცირესი თავისუფლებიდგან უდიდესი თავისუფლებისაკენ.

როდესაც ბრძოლა პირაპირია, როდესაც შერჩევა ბუნებრივია, მაშინ მოქმედებათა ეფექტიც პირდაპირი და ბუნებრივია და მაშასადამე შეზელაც ბრძოლაში და მოქმედებაში პირდაპირია, რადგან შერჩევა, ბრძოლა, მოქმედება სწარმოებს პირდაპირ იმათ მიერ ვინც იღებენ მონაწილეობას შერჩევაში, რომელშიდაც ამ შემთხვევაში არ არის ჩარეული უცხო ელემენტი, რომელიც ითვისებს ბრძოლის მოქმედების ფუნქციას. ამ შემთხვევაში, როდესაც ფუნქცია ბრძოლისა, მოქმედებისა მითვისებულია შემრჩევის მიერ, სწარმოებს ატროფია,

მაშ! შეუდგეთ საქმეს! დაე დაირაზმოს პროლეტარიატი სინდიკატების საშუალებით და ასე მოწყობილი გაუმკლავდეს, როგორც გაერთიანებული მშრომელი კლასი, მეორე კლასს—მსუნაგ ბურჟუაზიას, რომლის წარმომადგენელნი ასე გულუხვად ეპატიჟებიან ქანც—გაწყვეტილ მუშებს პარლამენტარულ ნადიმზე, რომ დაუტკბონ მათ თავიანთი მჭევრ-მეტყველების საშუალებით ყურთა-სმენა და დაბრმავებულთ ხელი აალებინონ ცხოველ-მყოფ იარაღზე საერთო გაფიცვაზე და საზოგადოდ პირდაპირ მოქმედებაზე, action direct'e-ს რომ ეძახიან ფრანგები. ძაშ, შორს პროლეტარიატისაგან ასეთი მალდურობა!.. გაერთიანება, გაერთიანება და კიდევ გაერთიანება მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციონურ ეკონომიურ ნიადაგზე.

კერძოდ საქართველოშიაც გაჩნდა ეს მიმართულება. ჩვენი მუშები, განურჩევლად ეროვნებისა, პარტიისა და სარწმუნოებისა თვალგაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ამ მოძრაობას სხვა და სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში და რუსეთში. ჩვენ სარკინისგზო სახელოსნოებში და სხვა სამრეწველო დარგებში თანდათან იმარჯვებს ეს იდეა, ეს მიმრთულბა. არსდება სინდიკატები და მათი ფედერაცია. თვით ჩვენი ორგანოს გამოცემა არის უტყუარი ნიშანი, რომ მოთხოვნილება დაიბადა და მომავალშიაც გაიზრდება. აგრე რომ არ იყოს, ჩვენი ორგანოც ვერ დაინახავდა დღიურ ნათელს. მაშ ვუსურვოთ გამარჯვება ამ მიმართულებას, რომელიც მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა პროლეტარიატის გამარჯვების მოსატანად კაპიტალსა და სახელმწიფოსთან ბრძოლაში!..

—ოლ—იძე.

## ეროვნული და პროლეტარული ავტონომია საზოგადოთ და

ქართველ ერის და ქართველ პროლეტარიატის ავტონომიის კითხვა. *)

ეროვნული და პროლ ეტარული ავტონომიის კითხვა ისეთი კითხვაა ჩვენში—ქართულად მოლაპარაკეებში და ქართულ ლიტერატურაში, რომ მისი გამოისობით შორდებიან ერთი მეორეს გუშინდელი ამხანაგები და მო-

*) სანამ კითხვას შევეხებოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია გზის გაწმენდა იმ დაბრკოლებათაგან, რომლებიც გაამრავლა B-მა.

დაქვეითება იმ ფუნქციისა, ბრძოლის ნიჭისა შერჩეულთათვის შემოჩეველთა სასარგებლოდ; როდესაც შერჩევა ბუნებრივია, პირდაპირია, მაშინ ფუნქცია ბრძოლისა, მოქმედებისა, თავის დაცვისა პირდაპირ მებრძოლი ორგანიზმის ნაყოფია და მაშასადამე მოქმედებს მისით, რასაც მოსდევს ამ ფუნქციის ბრძოლის, მოქმედების ნიჭის განვითარება, ამ უკანასკნელს კი მოსდევს ბრძოლის გამძლავრება და მისი ეფექტის ზრდა.

ამ ორ საშვალებათა მაგალითები უხვად არიან გაბნეული ბუნებაში, ვინც კი მოისურვებს მათ შესწავლას.

ეხლა ჩვენ შეგვიძლია გავაფორმულოდ ჩვენი შეხედულება ბიოლოგიურ არსებობის პროცესის განმახორციელებელ და მასთან შეთანხმებულ საშვალებაზე:

1, ბიოლოგიური პროცესი არსებობისა, მიმართულია, სწარმოებს უმცირესად დამაბრკოლებელ წრეში, არსებობის უმცირესი თავისუფლებისაგან უდიდესი თავისუფლებისაკენ და განხორციელებულია ამ შემთხვევაში ბუნებრივი შერჩევით—პირდაპირი მოქმედებით, ბრძოლით, როგორც საშვალებით—და დახასიათებულია ენერგიის, დროის ეკონომიით, უმცირესი ძალის ხარჯით უმეტესი ნაყოფის, ეფექტის გამოღებით, არსებობის შეძლების, ბრძოლის, მოქმედების, ძალის და მაშასადამე თავისუფლების, დაბრკოლების დაძლევის, წინააღმდეგობის ნიჭის ზრდით;

2, ბიოლოგიური პროცესი არსებობისა, მიმართულია, სწარმოებს უმეტესად დამაბრკოლებელ წრეში, არსებობის უმეტესი თავისუფლებისაგან უმცირესი თავისუფლებისაკენ და განხორციელებულია ამ შემთხვევაში ხელოვნური შერჩევით—არა პირდაპირი მოქმედებით, ბრძოლით, როგორც საშვალებით— და დახასიათებულია ენერგიის დროის ფლანგვით, უდიდესი ძალის ხარჯით უმცირესი ნაყოფის გამოღებით, არსებობის შეძლების, ბრძოლის, მოქმედების, ძალის და მაშასადამე თავისუფლების, დაბრკოლების დაძლევის, წინააღმდეგობის უნარის, ნიჭის თანდათანი დაქვეითების და ბოლოს მოსპობით. (შემდეგი იქნება)

სვენებას არ აძლევს ძმა ძმას, ცოლი ქმარს.

ეს გარემოება არც ისე ახალია ადამიანთა რწმენის ისტორიაში, მაგრამ უბედურობა იმაშია, რომ დღეს ამ გვარ გარემოებასთან დაკავშირებულია ისეთი სასწაულები, რომლებთან ძველ სასწაულების შედარება არც კი შეიძლება. ამ გვარი სასწაულია, მაგალითად, სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, ე. ი. მაიძულებელთა მიერ თავისუფლების დამყარება, ბიუროკრატიის მიერ თუნდაც პოლიტიკური თავისუფლების დამყარების იმედი—„დუმის“ საშვალებით უფლებათა მოპოვება და უკანასკნელად შოვინისტური, ნაციონალისტური ანარქიზმი ან ანარქისტული ნაციონალიზმი, ერთი სიტყვით ორი ერთი მეორის წინაალმდეგი მოვლენის შერიგება და წინაალმდეგების მიერ ერთი მეორის გამართლება; ძველი სასწაულები კი ამ გვარს ქე მაინც არაფერს სჩადიოდა.

1907 წელს 6 ივნისს დღითი ოთხშაბათს ქართულად მოლაპარაკე და ქართულის მკითხველმა ქვეყანამ იგემა საოცარ „ისრის“ საოცარ ფელეტონთა შორის საოცართაგან საოცარი ფელეტონი საოცარი მწერლის საოცრად ნაფიქრები ალსარება თავის მომაკვდავ სოციალური მიმართულებისა.

ამ საოცარი, ფელეტონის სათაური იმგვარადვე საოცარია. როგორც მისი შინაარსი.

აი ეს სათაურიც:

„ალსრულდა?!.

I

ფიქრები.“

რაც შეეხება პირველი თავის სათაურს, „ფიქრებს“ ჩვენ მხოლოდ მაშან ვიტყვით ჩვენ ფიქრს ამ „ფიქრების“ თაოპაზე, როდესაც ამ „ფიქრებს გავეცნობით, რაც შეეხება საერთო სათაურს „ალსრულდა?!“-ს, უნდა მოგახსენოთ, რომ ის ზახელია მომაკვდავისა.

როდესაც ადამიანი კვდება, მიხწეულია სიკვდილის პირას, ის მაშინ კიდევ ფიქრობს, რომ იქნება დავრჩე ცოცხალიო; ის ხედავს, რომ მისი ძალა თანდათან სუსტდება, მაჯა სუსტად სცემს, ხანდახან თვალებში უბნელდება, ის რაღაცის მოახლოვებას გრძნობს, მაგრამ ვერ არკვევს კარგათ მის აუცილებლობას; მის გონებაში, რომელიც თვით თავის ძალით ვერ არკვევს მის გარემოებას, მდგომარეობას იბადება კითხვა, რომელსაც ის უსვამს იმათ ვინც გარს ახვევიან:

“ვკვდები? ალსრულდა?“

მაგრამ, როდესაც მათგან დამამშვიდებელ პასუხს მიიღებს, მაშინ კითხვა შორისდებულად იქცევა: „ვკვდები აღესრულდა!“

ჩვენ იძულებული ვართ ფაქტის მიერ წავშალოთ, როგორც კითხვითი ნიშანი, ისე განკვირვებითი და შევცვალოთ კითხვაც და გაკვირვებაც, უნდა აღვნიშნოთ მშრალი ფაქტი, ულმობელი სინამდვილე და ვსთქვათ:

„დიახ, საზარალოდ იმ იდეალისა, რომელსაც ის უწინ ემსახურებოდა, აღესრულდა პათეთიური „აღესრულდა“-ს ავტორი, მაგრამ უხაროდეთ მიმადლიებულთ ს.-ფედერალისტებს რომელთა სასარგებლო წევრად აღსდგა Baton-ი.

მოგეხსენებათ რომ თუ ორგანოები რომლითაც ადამიანი შთაბეჭდილებას მიიღებს არ არის პატოლოგიურ მდგომარეობაში, მაშინ ადამიანი თუ გულწრფელია გამოსთქვამს ნამდვილ მდგომარეობას იმ საგნისა, რომელიც მასზე შთაბეჭდილებას ახდენს. ბატონ B-ს ვილაცაზე ნაციონალისტის და შოვინისტის შთაბეჭდილება მოუხდენია, იმას ეს შთაბეჭდილება გამოუთქვამს Baton-ისათვის, როგორც შთაბეჭდილების ავტორისათვის, B. კი ისე გამწარებულა თავის ნაწარმოების დასახელებაზე, რომ ამ გვარი საქციელი პირში ჩაფურთხებად მიულია. ცოტა უკაცრავად ვახლავართ არა ლაქიურ სულის ბატონ-პატრონთან, მაგრამ უნდა მოვახსენოთ ლაქიურად, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ხმარობენ ჩასაფურთხებელს ჩვეულებათ აქვთ შიგ ჩაფურთხება; ადამიანმა ჩასაფურთხებელი დაინახა მანც მივიდა და შიგ ჩააფურთხა, ბუნებრივია. ვისაც არ უნდა შეაფურთხონ ნუ გახდება შესაფურთხებელი, ვისაც ნაციონალისტის და შოვინისტის სახელი ეზიზლება ნუ ჩაიდენს ნაციონალისტობას და შოვინისტობას ნურც სიტყვით ნურც საქმით, რადგან სიტყვას საქმემდი მიჰყავს.

„როცა იმერელი მჭადით კბილებ გამოლესილი ბრძენი“, რომელსაც არ აქვს ფილოსოფიის დოკტორის დიპლომი და Baton-სავით არ უსწავლია გიმნაზიაში და უნივერსიტეტში, ძლიერ თავს იგდებს თურმე B-ს აზრით და

ბედავს თავისი მსჯელობა იქონიოს და სთქვას, რომ „რატომ რუსად არ დავიბადეო“. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს, — როგორც სოციალურ და კულტურულ ჯგუფს აქვს უფლება იცხოვროს ისე, როგორც მოუხერხდება და სურს, მიუხედავად ამისა თვითეულ მის წევრს ან მრავალს აქვს უფლება ინატროს რუსობა, იმოდენად რამოდენად აკმაყოფილებს ეს მის ადამიანურ და არა ქართულ მოთხოვნილებას. ყოველ შემთხვევაში უმჯობესია კროპოტკინის, ბაკუნინის და სხვა რუსთა თანამემამულობა ვინემ Baton-ის თანამემამულობა, ყოველ შემთხვევაში უმჯობესია იმათი თანამემამულობა, ვინც თანამედროვე რევოლიუციას რუსეთში მისცა სოციალური საზრდო და არა ნაციონალური, როგორც „ჭეშმარიტ რუსთა“ პარტიამ რუსეთში, და ჩვენში „ჭეშმარიტ ქართველთა“ პარტიამ ს.-ფედერალისტებისა და მათ სიაში ახლად ჩაწერილმა Baton-მა.

მით უფრო შეუძლებელია სოციალური რუსეთის მოტრფიალეთა მიერ სხვა ერებისთვის „პოგრომშჩიკებად“ გახდომა, რამოდენათ უფრო ადვილია ქართველ პურიშკევიჩების და კრუშევანებისთვის, ქართველ ნაციის მოტრფიალე ს.-ფედერალისტების პარტიის და ამ ნაციონალური ორდენის ახალი წევრებისთვის ქართველ „პოგრომჩიკებად“ გახდომა, როგორც უკვე ჩაიდინა მსგავსი „პოგრომჩიკობა“ ქართველ სოც.-ფედერალისტთა მსგავსმა სომხურმა ფედერალისტ-სოციალისტების პარტიამ დაშნაკცუტუნად წოდებულმა თათრების შესახებ.

Baton ი, რაღაი ჩაეწერა “ჭეშმარიტ ქართველთა“ წმინდანების გუნდში, არ ჩერდება გონიერ ნაციონალიზმზე და მიდის ნაციონალ უგუნურებამდე, ნაციონალურ ღმერთის თაყვანის ცემამდე. მას საშინლად ეშინია; ვაი, თუ ვინმემ გაიტანოს ოჯახს გარედ „ქართული იდიოტობა და თავი მოგვჭრან „მთელ დუნიაზე და ევროპიაშიო.

ერთი განსხვავება სხვათა შორის სოციალიზმს და ნაციონალიზმს შორის იმაში შესდგება, რომ „ჭეშმარიტ ნაციონალიზმს“ ეშინია კრიტიკისა, შინაური, ოჯახური ამბავის გარეთ გატანისა, რადგან იცის რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების“ და სულ იმის მეცადინეობაშია, რომ თავი სამუდამოდ დაუცოს თავის წუმპის კოკას; სოციალიზმს არ ეშინია კრიტიკის. რადგან მისი შინაური საქმეები არაფერს შეიცავს სამარცხვინოს, რადგან ყოველიფერი სამარცხვინო სოციალიზმში კონდრაბანდული, გარედგან შემოპარული უცხო საქონელია, როგორც ნაციონალიზმი ფედერალისტურ სოციალიზმში მაგალითად ან Baton-ს „ჭეშმარიტი ქართველობა უმთავრობო, უსახელმწიფო, უსაზღვრო და მაშასადამე უტერიტორიო სოციალიზმში.

დიახ არ არის ქართველობა სასურველი მაშინ, როდესაც ქართველობას ისეთი პარტიები ჰყავს, როგორც ს.-ფედერალისტების პარტია, ისეთი მოღვაწეები, როგორც B-ი, ისეთი ეგზემპლიარი მიმართულებით, როგორც დემოკრატ-ანარქისტი, ისეთი პოეტები როგორც ეშმაკი, ისეთი რევოლიუციონერები, რომლებიც რევოლიუციის დროს კაბინეტში ზიან და უცდიან რევოლიუციის ნაყოფს, ისეთი პარლამენტარი საშვალებით მებრძოლნი, რომლებიც ინტრიგის წუმპეში იღრჩობიან. ისეთი მოაზრეები, რომლებიც შინაური მოსაზრებით კმაყოფილდებიან, ისეთი ქალთა და კაცთა წრეები, რომლებიც ლაპარაკით დროს გასატარებელი წრეებია და სხვა და სხვა სპეციფიკურ ქართული სულის შემხუთავი თავის მომაბეზრებელი, ბანალური, თავის მომაძულებელი მოვლენები.

როდესაც ყოველივე გაუთვალისწინებია არწივისებური მახვილის თვალის პატრონს, მაშინ, ბოლოს გონებრივი რევიზის სულ უკანასკნელ აქტში დაუნახავს სპილო, დიახ, ჯერ წვრილმანების ცქერით თვალებზე „მაზოლები“ გაჩენია და ბოლოს კი სპილო ეშვებ მოხერხილი საქართველოს სახით წარსდგომია. სპილოს დანახვაზე გული მოსვლია, მხეცების მუზეუმიდგან გამოვარდნილა და წიგნთ საცავში შევვარდნილა; აქ მაგიდაზე გამტვერიანებული წიგნი, სოციალური კარაბადინი დაუნახავს და იმედი მისცემია ლოგინად ჩავარდნილ საქართველოს აღსადგენი წამლის გამოჩხრეკისა, მაგრამ, ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკაო და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, სწორედ ის, მოვიდა კარაბადინით ექიმბაშს.

მან ნაციონალური, ვაი, ვაის გაეყარა, მაგრამ უი, უის კი შეეყარა დავითნის ფურცელზე: გადაშალა თუ არა დავითნი, რომელზედაც

საქართველოს ყოფნას თუ არ ყოფნას არჩევდა, დაინახა საქართველოს დაღუპვის დიაგნოზი დე-გრეფის მიერ დასმული: „აღსრულდა“. დეგრეფის დავითნის ძალით საქართველო უნდა დაიღუპოს და მასთან, ერთად მისი მოსიყვარულე შვილი Baton-იც ჰოი უბედურებავ! დედამიწის ღერძი და სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიცვალოს ადგილიდგან, მსოფლიოს თანასწორობა უნდა დაირღვეს! ნუ თუ ეს სატირალი და სავალო არ არი'ს? მაგრამ სპენსერის თქმის არ იყოს, თქმის, რომლითაც მსოფლიო ისტორია არაფრით არ შესცვლიდა თავის კურსს საბერძნეთი და რომი სულაც რომ არ ყოფილიყო,—ამ თქმის არ იყოს, ქვეყანა ისევ იარსებს თუნდაც მთელი კავკასია ზღვად იქცეს; საქართველოს დაღუპვა აწუხებს Baton-ს, მაგრამ ამაზე უფრო პატრიოტიზმი და შოვინისტური თავმოყვარეობა ქართველისა უფრო აწუხებს: აწუხებს მას, რომ სომხები უკანასკნელ ზოოლოგიურ წყვილს გადაშენებულ ქართველებისა ჩამოატარებენ ევროპის ქალაქების ქუჩებზე „ვრაცი“ „ვრაცის“ ყვირილით. დარწუნდეს B-ი, რომ ეს როლი უკანასკნელი ქართველისა მას არ ხვდება ასასრულებლად და მაშასადამე ტყუილად შეშინებულა.

(შემდეგი იქნება.)

## სოც-ფედერალისტური აქლემი, მარქსისტული და ანარქისტული ჭიანჭველა, მწერალი უდაბნოში და უქმროთ დაბერებულ ქალწულთა გალობა ვაი-ვაი-ვაის ხმაზე. *)

თუ საწარმოვო ძალები არსებობენ მაშინ ისინი ან პროგრესიულად, ან რეგრესიულად უნდა განვითარდნენ ცხადია, და თუ არსებულის განვითარება მეტაფიზიკა არის, მაშინ სოციალისტური ნაციონალიზმი ს.-ფედერალისტებისა მეტაფიზიკა ყოფილა და ზღაპრული არსება აქლემის ოდენა ჭიანჭველისა „ისრის“ კალთაში მებრძოლ სა მრავალი ნარის გაწევის შემდეგ სინამდვილე ყოფილა. იქნება ჭიანჭველა მარქსიზმის აბსოლიუტურ ობიექტივიზმზე ლაპარაკობდეს. მაგრამ მაშინ კრიტიკა კრიტიკათ უნდა იყოს დაყენებული და სათავეშივე განსაზღვრული უნდა იყოს რა არის მარქსის აზრით საწარმოვო ძალა და რა არის ნამდვილად.

ჭიანჭველური აზრით და აქლემური მიმოხვრით გამოთქმული აზრის და კვალად ანარქისტები **აბსოლიუტისტები** ყოფილა და **ამასთანავე აზრების და ადამიანების ყოფა ქცევის თავისუფლების** მომხრეები და ისიც იმიტომ ყოფილან აბსოლიუტისტები, რომ ისინი თავისუფლებას იმიტომ ანიჭებენ ადამიანს, რომ შეუძლებელია ყველა ადამიანი ერთი ყოფა ქცევის იყოს. ე. ი ერთის თავისუფლება მეორის თავისუფლებისაგან გამომდინარეობს იმოდენად, რამოდენად ისინი ნებას მისცემენ ერთი მეორეს განსხვავებულად მოიქცნენ იმაში, რაშიც არ არიან თანახმა ან რაშიაც განსხვავებული არიან და შეთანხმდენ იმაში რაშიაც შეიყრება მათი სურვილები, რაშიაც ისინი ერთ და იმავე ინტერესებს ემსახურებიან. დიახ გაგებაც ამ გვარი უნდა, როგორც ჭიანჭველამ ჭიანჭველასაგან გაიგო გადმოცემით, რომ ზღვა დამშრალა იმოდენად რომ ჩვენ ფეხით შევიძლებთ ზღვის გადასვლასო. დიახ ჭიანჭველა აქლემად ვერ გადაიქცევა, აქლემი ჭიანჭველას კბენას გაუძლებს და ჭიანჭველა ზღვაში ვერ გაიმშრალებს.

ნუ იტყვით თურმე ის აბსოლიუტური ობიექტივიზმის მომხრე არ არის მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ რაც შეეხება ანარქისტებს მათ წინააღმდეგ ყოველი საშვალება კარგია რადგან მათ კანონი არ სწამთ, ისინი საზოგადოებისაგან განდევნილი არიან, როგორც ანტისოციალური ელმენტები, რადგან სხვაზე უფრო ისინი იცავენ საზოგადოებრივობას, რაც შეუწყნარებელია, რადგან საზოგადოებრივობა არ არის სახელმწიფოებრივობა არც ავტონომისტური არც სოციალისტური სახელმწიფოებრივობა, რადგან სოციალისტური სახელმწიფოებრივობა იგივე სანთლის რკინა იქნება.

თურმე ყველაფერ გარდაქმნას იმოდენი დრო უნდება, რამოდენიც მის წარმოშობას დასჭირდა, რადგან „საუკუნოებით დამახინჯე-

---

*) იხ. ქარ. № 1.

ბულ პიროვნების ასეთ უეცარ მეტამორფოზასკი ქიმერად სთვლის“.

უნდა მოვახსენოთ, ბოგდანოვის არ იყოს, ქიანქველას, რომ თუ კრიტიკას უნდა მოჰკიდოს ხელი უვიცობას თავი უნდა დაანებოს; სადაური ენციკლოპედიური ცოდნა თქვენ გაქვს, რომ განიხილოთ ბუნების ყოველი მოვლენები და დაამყაროთ ურთიერთობა მათ შორის დროს, სივრცის აგებულობის, კომპოზიციის და სხვა მხრით? სადაური ბიოლოგიური, ფიზიკო მათემატიკური, ანტროპოლოგიური და სოციოლოგიური ტვირთის ზიდვით ჩამოტყდა ნეტავი ამ ვაჟბატონს ტვინის კიდე? წინააღმდეგ შემთხვევაში, რათ ჰკისრულობს თავხედურ საქციელს და ოლიმპიურის კილოთი აცხადებს თავისი აბდა უბდას, რომელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართველ აუდიტორიას, ძლიერ ჭორიკანული რამ გამოდის და არა კრიტიკული. თუმცა ქიანქველა გააქლემებული ხიმერებზე ლაპარაკობს, მაგრამ ხიმერას კრიტიკის და პუბლიცისტიკის ისტორიაში თვით წარმოადგენს.

უკვე ცნობილია, რომ ადამიანის სულიერი განვითარების ფილოგენიური ისტორიის შემოკლება არის ადამიანის სულიერი განვითარების ონტოგენიური ისტორია, ე. ი. ის რაც ადამიანის სულს განუვლია ცოცხალ არსებათა გაჩენიდგან მოკიდებული დღემდის ადამიანის მიერ განვლილია ჩასახვიდგან მოკიდებული მის სიკვდილამდე. პირველი ისტორია სულის განვითარებისა გრძელდება ათას, ათიათას და ასსი ათას წლებზე, მაშინ როდესაც მისი განმეორება დროში შემოკლებით გრძელდება მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის ოდენას. შეადარეთ ეხლა ასი ათასი წლები ას წელს, რომელსაც ათასში ერთი ადამიანი ვერ აღწევს და დაინახავთ დაახლოვებითი მაჩვენებელს (знаменатель етношенія) იმ ურთიერთობისას, რომელიც არსებობს წინანდელს და შემდეგს შუა. ამას გარედ ცნობილია რომ ადამიანი ცხრა თვის განმავლობაში დედის მუცელში გაივლის მთავარ მუხლებში ყველა იმ ფორმებს, რომლებიც ცოცხალ არსებას განუვლია მთელ თავის ფილოგენიურ, პალეონტოლოგიურ ევოლუციაში, მთავარ მუხლთა შორის გადამავალ, შემაერთებელ ფორმების გამოკლებით, მაშასადამე ევოლიუცია შეიძლება ძლიერ შემოკლდეს რევოლიუციით.

ამას გარედ ის მოვლენანი ადამიანთა საზოგადოებაში, რომლებსაც დანაშაულობას უძახიან შეიძლება სამ ადვილ გასაგებ გრუპაში გავანაწილოთ: 1, დანაშაულობანი ავტორიტეტის წინააღმდეგ; 2, დანაშაულობანი კერძო საკუთრების წინააღმდეგ და 3, დანაშაულობანი ვნებათა გავლენის ქვეშ. მაშინ როდესაც, ამბობენ ანარქისტები, პროლეტარიატი ნაწილ ნაწილ პირდაპირი ბრძოლის საშვალებით, რევოლიუციონური რეპეტიციის საშვალებით, რომლის იარაღი სინდიკატი არის გაიწვრთვნება და განვითარდება გონებრივად პირდაპირ ბრძოლაში და აღზრდის თავის თავს სინდიკატში, ამ ნების სკოლაში, მაშინ ანბობენ ისინი, მუშები გამართავენ უკანასკნელ გენერალურ ბრძოლას ყოველ ჯურის ბატონების და ექსპლოატატორების წინააღმდეგ და რადგან ერთი რევოლიუციონური მომენტი უფრო მნიშვნელოვანია ისტორიაში და უფრო აღმზრდელია ადამიანის შეგნების და ნების, ვინემ ხანგრძლივი მშვიდობიანი განვითარება, ამიტომ მათთვის გახდება შესაძლებელი დამყარება არა ისეთი საზოგადოებრივი ფორმის, რომელშიდაც მომხმარებელი ბატონობს და მწარმოებელი კი მონობაში სულს ლევს, არამედ ისეთი საზოგადოების, სადაც ადამიანი ერთ და იმავე დროს მწარმოებელიც იქნება და მომხმარებელიც. რადგან არავინ არ იქნება იძულებული იმუშაოს სხვისთვის. და სადაც მაშასადამე არავითარ ბატონობას ადგილი არ ექნება.

შემდეგი იქნება


# განცხადება

**22** ივლისიდან ქალ. თბილისში გამოდის

ყოველ—კვირეული ქართული სამეცნიერო—ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივ—ეკონომიური გაზეთი

## „ქარიშხალი“

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ პროვინციებიდან, გაზეთი ეღირება წლიურათ 3 მან. ნახევარი წლით — 1 მ. 50 კ. სამი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი თფილისში ღირს **ერთი შაური**, პროვინციაში — 6 **კაპ**,

გაზეთის რედაქცია და კანტორა ყოველ-დღე ღიაა. დილით 10—2 ს. და საღამობით — 5—7 ს. კვირა-უქმე დღე 10—12 ს.

ადრესი: Тифлисъ: Семеновская ул. №4 типографя „Надежда“ редактору газеты „Каришхали“.


რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ებრალიძე.**